№ 6

შაბათი, 10 იანვარი, 1898 წ.

1877—1898

# ივერია

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 8 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 9 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227



№ 6

შაბათი, 10 იანვარი, 1898 წ.



რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.



„ივერიის“ ტელეფონი № 227


ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლის თანამდებობის აღმასრულებელი საყოველთაოდ აცხადებს, რომ

**კვირას, 11 იანვარს,**

## საქართველოს მეფის ერეკლე მეორის

გარდაცვალებიდგან ასის წლის შესრულების დღეს, სიონის საკათედრო ტაძარში გარდახდილ იქნება

## წირვა და პანაშვიდი

წირვა დაიწყება დილის 10 საათზედ.

---

**კლავდია ვასილის ასული და გიორგი ილიას ძე სერებრია-კოვ-ოქრომჭედლიშვილები** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა, რომ კვირას, 11 იანვარს, მეცხრე დღეს გარდაცვალებისას საყვარელის ქმრისა და მამისა

## ილია ლაზარეს ძე სერებრია-კოვისა

გარდახდილ იქმნება დიდუბის ეკკლესიაში წირვა დილის 10 საათზედ, ხოლო პანაშვიდი 12 საათზედ.

---

## ქართული თეატრი

კვირას, 11 იანვარს,

საზოგადოების სურვილით

I

## სამზადისი

სცენები პეტრე უმიკაშვილისა.

II

## მუნჯი

კომედია 2 მოქმ. გ. ერისთავისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ.ქ. გამყრელიძისა, გარელი, ბ.ბ. ვ. აბაშიძე, სვიმონიძე, ადამიძე და სხვ.

III

## კოცნა უცნობს

დრამ. სურათი, თავ. გ. მ. შარვაშიძისა

მონაწილეობას მიიღებენ: ვ. ს. მესხი, კარგარელი, კ. მესხი, სიმონიძე, კანდელაკი, ადამიძე და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი 8 საათზედ

რეჟისორი ქ. მესხი.

---

ქართველ-ქალთა ამხანაგობის

## სახელოსნო-საკერავლო

იღებს შესაკერად ყოველგვარს ქალის ტანთ-საცმელს

ბარიატინსკის ქ., ფედოროვის სახლი, № 10, „ნოვოე ობოზრენიეს“ რედაქციისა და მთავარ-მართებლის თანაშემწის სახლის შუა.

მსურველთ აქვე შეუძლიანთ განაცხადონ სურვილი იმისი, რომ პატარა ქალები მიაბარონ მოსწავლეებად. (5—უ.—1)

---

ტფილისი, 9 იანვარი

ვინც თვალ-ყურს ადევნებს რუსულს პედაგოგიურ ჟურნალ-გაზეთებს, უეჭველად შენიშნავდა იმ სამწუხარო მოვლენას, რომ რუსეთის სახალხო სკოლაში სწავლა-დამთავრებული მოზარდი თაობა ხშირად ივიწყებს იმ მცირე ცოდნასაც, რომელიც შეიძინა სკოლაში სამი-ოთხის წლის ყოფნის დროს. სახალხო სკოლაში სწავლა დასრულებული ყმაწვილი ოთხი-ხუთის წლის შემდეგ ივიწყებს წერა-კითხვას, საღვთო სჯულის მოთხრობებს, არითმეტიკას თუ, რასაკვირველია, არ ჩავარდა იმისთანა გარემოებაში, სადაც შეეძლება სკოლაში შესწავლილი განიმეოროს, განაკარგოს და განაგრძოს. ხშირად მომხდარა იმისთანა მაგალითი, რომ ახალგაზდა კაცს, რომელსაც სწავლა სახალხო სკოლაში გაუთავებია, 21 წლისა რომ შექმნილა და ჯარისკაცად გამოუყვანიათ, ხელის მოწერა დავიწყებია. შიდა რუსეთის სახალხო სკოლების დირექტორებს და ინსპექტორებს ეს არა ერთხელ შეუნიშნავთ და ოფიციალურად გამოუცხადებიათ. იგი არ გამოეპარა არც მწერლობას, მეტადრე პედაგოგიურსა. რაკი საზოგადოებამ ჯეროვანი ყურადღება მიაქცია ამ გარემოებას, საშუალებანიც გამოჩნდა მის ასაცდენად და შესამცირებლად: სოფლებში გამართეს სახალხო წიგნთსაცავები, საკვირაო სკოლები, საღამოს კლასები, გამოსცეს მრავალი ადვილად გასაგები სახალხო იაფი წიგნები და სხვა. ამასაც აღარ დაკმაყოფილდნენ; დიდრონ ქალაქებში პროფესორები და სხვა გაგებულნი და ხალხისათვის გულ-შემატკივარნი კითხულობენ ადვილად გასაგებს სამეცნიერო ლექციებს, და იქნება მალე დადგეს ის დროც, როცა რუსეთშიაც, როგორც ეხლა ევროპის ზოგიერთ სახელმწიფოში აპირებენ, გაიმართოს სახალხო უნივერსიტეტებიც.

გული გიკვდება და სული ჰშფოთავს, როცა ჩვენის სახალხო სკოლების მდგომარეობისაკენ მიიხედავ და შეადარებ იმათ რუსეთის სახალხო სკოლებს; ევროპის სახალხო სკოლებთან შედარებას ხომ ჩვენ ვერ გავბედავთ, რადგან ასეთი შედარება დიდი კადნიერება იქნებოდა. სამი-ოთხის წლის განმავლობაში რას იძენს ჩვენის სახალხო სკოლის მოსწავლე, იმისთანა გარემოებაში, როგორშიაც ახლა ის იმყოფება? სამი წელიწადი, რომ ვამბობთ, ეს მხოლოდ სიტყვაა და არა ნამდვილი, უფრო სამართლიანი იქნებოდა გვეთქვა: სამი ან ოთხი ზამთარი, რადგან მთელი ზაფხული ყმაწვილები დათხოვნილნი არიან, შემოდგომასა და გაზაფხულზედ ბევრს გაკვეთილებს აკლდებიან, რადგან ამ დროს ღარიბ სოფლელს ბევრი საშრომი აქვს და მშრომელის ხელი, თუ გინდ ისეთის პატარისაც, როგორიც მოსწავლეა,—იმისათვის ძვირფასია. რუსის ყმაწვილი—მოსწავლე ერთი ხუთად უმჯობესს გარემოებაში იმყოფება ჩვენს ქართველს მოსწავლესთან შედარებით. იგი სწავლობს თავისს ღვიძლს ენას და ამ ენის საშუალებით—საგნებს. მის გონებას ახალისებს და ამდიდრებს ყოველი სიტყვა, ყოველი აზრი, ყოველი რიგიანი მოქმედება და დარიგება მასწავლებლისა და ამ გვარად დახალისიანებული და მოწადინებული გონება მოსწავლისა, რასაკვირველია, ბუნებრივად ძლიერდება და წესიერად იძენს სწავლა-ცოდნას. ჩვენებური მოსწავლე-კი სულ წინააღმდეგს გარემოებაშია მომწყვდეული. თუ-კი ასეთის ძლიერის იარაღითა და საშუალებით გარემოცული რუსის მოსწავლე ოთხი-ხუთის წლის შემდეგ სწავლას რომ ასრულებს და ცხოვრებაში გამოდის, ივიწყებს ხელის მოწერასაც, რაღა უნდა ითქვას ქართველის მოსწავლის შესახებ!? სამწუხაროდ, ამ გარემოებისათვის, რამდენადაც ჩვენ ვიცით, ჯერ ყურადღება არ მიუქცევიათ, მაგრამ ამისი წარმოდგენა ადვილია.

საცოდავი სანახვია არა მარტო მოსწავლე, რომელიც უცხო ენის საშუალებით სწავლობს საგნებს, არამედ თითონ მასწავლებელიც, რომელიც ამ უცნობის ენის საშუალებით საგნებს ასწავლის. რა ცოდნა უნდა შეიძინოს შვიდი-რვა წლის მოსწავლემ სამის ზამთრის განმავალობაში ამ უცხო ენისა, რომ ამავე ენის საშუალებით კიდევ რაიმე საგნიური ცოდნა შეითვისოს და ცხოვრებაში გამოიყენოს? განა ეს ამოდენა შრომა-წვალება და ხარჯი თითქმის სულ ტყუილად არ მიდის? განა ამითი გული არ უცრუვდებათ თვით მშობლებს, რომელნიც დაიმედებულნი არიან და ხარჯს ეწევიან მხოლოდ იმიტომ, რომ მათმა შვილებმა სკოლაში ყოფნის დროს რაიმე სასიკეთო და ცხოვრებაში გამოსადეგი ცოდნა შეიძინონ?

დაუმატეთ ამას ის ყოვლად მახინჯი „მუნჯური მეტოდი“, რომელიც გამეფებულია დღეს მთელის ქუთაისის გუბერნიის სამინისტრო სკოლებში ბ-ნ ლევიტსკის წყალობით და თქვენს წინ წარმოსდგება სრული სურათი ჩვენის სახალხო სკოლების უბადრუკისა და უნუგეშო მდგომარეობისა!

აქ მე მოვიყვან მხოლოდ მცირედ ნაწილს დიდებულის აწ განსვენებულის იმპერატორის ალექსანდრე მეორის ბრძანებიდგან:

«въ отношеніи педагогическомъ, главною заботою правительства должно быть распространеніе въ юношествѣ здравыхъ понятій, развитіе въ немъ любви къ дѣльному труду и основательному научному образованію. Не позволяя ни себѣ, ни кому бы то ни было превращать разсадники науки въ орудіе для достиженія политическихъ цѣлей, учебныя начальства должны имѣть въ виду одно лишь безкорыстное служеніе просвѣщенію, постоянно улучшая систему общественнаго воспитанія.. Преподаваніе *во всѣхъ начальныхъ училищахъ* производится *на природномъ языкѣ* жителей города, гмины или селенія, дѣти коихъ посѣщаютъ школу. Въ высшихъ (вторыхъ) классахъ начальныхъ училищъ дѣти совершенствуются въ чтеніи и письмѣ на природномъ языкѣ и въ ариѳметикѣ; имъ преподаются первоначальныя свѣдѣнія объ окружающей природѣ и мѣстности. Кромѣ того, по желанію общества они обучаются чтенію и письму порусски". (Сводъ зак. о начальныхъ народ. школахъ, стран. 42).

ვერავინ ვერ გაჰბედავს და ვერ იტყვის, რომ ქართველი არ ეტანებოდეს რუსულის ენის შესწავლას. ეს სურვილი რუსულის ენის შესწავლისა იმდენად ძლიერია, რომ იგი ქართველ განათლებულ ოჯახს მიაჩნია მეორე სამშობლო ენად. ამ ენით სარგებლობს და ლაპარაკობს არა მარტო სხვა-და-სხვა საზოგადო დაწესებულებაში, არამედ სახლში, თავისს ცოლშვილთან. ამ ენის საშუალებით იძენს ქართველი სწავლა-განათლებას და მეცნიერებას, იგი შეადგენს აუცილებელს საჭიროებას! მაგრამ ეს სწავლა-განათლება, მეცნიერების შეძენა რომ საფუძვლიანი და სასარგებლო იყოს და არა კაჭკაჭური, საჭიროა დასაწყისში იგი შეძენილ იქმნას ქართულის ენის შემწეობით, როგორც ამას გვიმტკიცებენ დიდებულნი პედაგოგნი და მეცნიერნი.

მ—ლი

---

### მთავრობის განკარგულებანი

დათხოვნილ იქმნა თანამდებობიდგან თავისისავე თხოვნით გროზნის ზურგის ბატალიონის პოდპოლკოვნიკი მამაციშვილი—პოლკოვნიკის ხარისხით, მუნდირითა და პენსიით.

---

## ახალი ამბავი

*** გუშინ, 9 იანვარს, შეიკრიბა ტფილისის გუბერნიის თავად აზნაურობა და გარდასწყვიტა, რომ კვირას, 11 იანვარს, ჩვენის სასიქადულო მეფის ერეკლე მეორის გარდაცვალებიდგან ასის წლის შესრულების დღეს, წირვა და პანაშვიდი გარდაიხადოს მისის სულის მოსახსენებლად სიონის საკრებულო ტაძარში.

ამას გარდა, როგორც შევიტყეთ, თელავის თავად-აზნაურობის წინამძღოლს, თავ. დ. ს. მაყაშვილს მთავრობისაგან ნებართვა აუღია, რომ საქართველოს განსვენებულ მეფის

ერეკლეს სულის მოსახსენებლად წირვა და პანაშვიდი, თულავშიაც იქმნას გარდახდილი.

*** კავკასიის მთავარ-მართებელმა გენერალ-ლეიტენანტმა გ. ს. გოლიცინმა განკარგულება მოახდინა, რომ სხვა და სხვა უწყებაში განთავისუფლებული თანამდებობანი ამიერიდგან იმათ ჩააბარონ ხოლმე, რომელნიც უმაღლეს სასწავლებლებს კავკასიის სტიპენდიანტად ათავებენ, აქამდის ეს სტიპენდიანტები განთავისუფლებულნი იყვნენ და სადაც უნდოდათ იქ შედიოდნენ ხოლმე სამსახურში, ხოლო ამიერიდგან ამისი უფლება აღარ ექმნებათ და მხოლოდ განსაკუთრებულ გარემოებათა გამო იქმნებიან განთავისუფლებულნი.

*** გუშინ-წინ, 8 იანვარს, ქალაქის საბჭომ, ხარჯთ-აღრიცხვის განხილვის დროს, დაადგინა იყოლიოს გამგეობაში ერთი კორრექტორი, რომელსაც ჯამაგირად წელიწადში 600 მანეთი ექმნება დანიშნული.

*** თავ. კ. ი. მუხრან-ბატონი ეხლა ძალიან კარგად არის. რადგანაც ავადმყოფობის დროს სიცხეს სრულებით არ მოუმატნია, მკურნალნი იმ აზრისანი არიან, რომ ტყვია სხეულში არ ჩარჩენია, არამედ ჭრილობიდგან გამოვარდნილაო.

*** დღეს, 10 იანვარს, საღამოს 8 საათზედ ტფილისის ოლქის სასამართლოს დარბაზში კრება ექმნება კავკასიის იურიდიულ საზოგადოებას. კრებამ უნდა განიხილოს საადმინისტრაციო განკარგულებანი და საზოგადოების წევრის ა. ს. ფრენკელის მოხსენება: „საშუალებანი კავკასიის ავაზაკობასთან საბრძოლველად“. მოხსენება 32 თავს შეიცავს. ბ-ნი ფრენკელი ამ მოხსენებით გვპირდება იმის გამორკვევას, თუ რა საშუალებანით შეიძლება ამოიფხვრას კავკასიაში ავაზაკობა. კრებაზედ არა წევრთაც შეუძლიანთ დასწრება.

*** სოხუმში ამას წინად ამოარჩიეს ქალაქის ახალი დეპუტატები, რომელთაც გაზ. „კავკასის“ სიტყვით, ანაცხადეს, ჩვენ წინა-მოადგილეთ ქალაქის საქმეები ისე აუწეწ-დაუწეწიათ, რომ თვით ალლაჰიც ვერაფერს გაიგებსო. ახლად ამორჩეულ დეპუტატებს აზრადა აქვთ თურმე მიჰმართონ გუბერნატორს და სთხოვონ მოხელე დაჰნიშნეთ ქალაქის საქმეებისა და ძველის დეპუტატების მოქმედების სარევიზიოდაო.

*** მალაროსთა დასი, რომელიც სათავად-აზნაურო თეატრში წარმოდგენებს ჰმართავდა, 7 იანვარს, ტფილისიდგან ქუთაისში წავიდა, საიდგანაც რამდენისამე წარმოდგენის გამართვის შემდეგ ბათუმს წავა.

*** სატახტო ქალაქის გაზეთების სიტყვით, საფრანგეთის გაზეთის „Temps“-ის რედაქტორი მარსელ მონნიე ამ ჟამად იმიერ-კასპიის მხარეს არის. მარსელ მონნიეს აზრადა აქვს კავკასია დაათვალიეროს და აქედგან მოსკოვსა და პეტერბურგში აპირებს წასვლას.

*** გაზ. „ახ. მიმ.“ სწერენ ოზურგეთიდგან, რომ გუბერნიის ადმინისტრაცია უკვე შეუდგა განხილვას ოზურგეთში ვაჟთა პროგიმნაზიის დაარსების საქმისას და ეს საქმე მალე კავკასიის უმაღლესს მთავრობას გადაეცემა განსახილველადაო.

*** ამიერ-კავკასიის სასტატისტიკო კომიტეტი იწვევს იმათ, ვისაც ჰსურთ დაიჭირონ ახლად განთავისუფლებული ადგილი ამ კომიტეტის მოხელის თანამდებობისა. თანამდებობა მეშვიდე კლასისაა და ჯამაგირი 1,200 მან. გარდა ამისა, მოხელეს მიეცემა წელიწადში 600 მან. გზის ფულად და სტატისტიკურ ცნობების შესაკრებად და შესამუშავებლად. ამ თანამდებობაზედ მიიღებიან ისინი, ვისაც ტიტულიარნი სოვეტნიკობაზედ ნაკლები ხარისხი არა აქვს და ერთ-ერთი უმაღლესი სასწავლებელი გაუთავებია. მსურველთ, ვინც დასახელებულ პირობებს დააკმაყოფილებს, კომიტეტი გამოსცდის, რამდენად შეუძლიან სტატისტიკური მუშაობა. მთხოვნელთ უნდა მიჰმართონ ამიერ-კავკასიის სასტატისტიკო კომიტეტის თავმჯდომარეს და წარუდგინონ ყველა საჭირო საბუთის ქაღალდები.

## თეატრის მატიანე

ერნანი, დრამა 5 მოქ. ვიქტორ ჰიუგოსი

ბ-ნ სვიმონიძის საბენეფისოდ წარმოდგენილი დრამა ერნანი, ანუ Hernani ეკუთვნის კალამს საფრანგეთის დიდებულის მწერლის ვიქტორ ჰიუგოსას, საფრანგეთში რომანტიზმის შემქნელს. გამოვიდა თუ არა ვიქტორ ჰიუგო მწერლობის ასპარეზზედ და დაიწყო დრამების წერა, იგი გაუჰკლავდა, ომი გამოუცხადა კლასიკურ მიმართულებას. როდ საც პირველად „ერნანი“ წარმოადგინეს საფრანგეთში—1830 წელს, მთელი ახალგაზდობა ფეხზედ დადგა და თეატრი ვერ ასწრებდა წარმოდგენების გამართვას, იმდენი მსურველი იყო ამ მშვენიერის, მაშინდელ საფრანგეთის საზოგადოებისათვის არაჩვეულებრივ დრამის ნახვისა და ისე იყვნენ ალტაცებულნი ახალგაზდა ავტორის ნიჭით. ჰიუგომ თავისის დრამებით საძირკველი ჩაუყარა რომანტიზმს საფრანგეთში. დედა-აზრი მისის დრამებისა ის იყო, რომ შეექმნა ისეთი სცენა, რომელიც სრულიად ეწინააღმდეგებოდა კლასიკურ ნაწარმოებებს. კლასიკურ ტრაგედიების გმირნი თუ მეფენი იყვნენ და მისნი მახლობელნი—დიდებულნი, ჰიუგომ თავისს ნაწარმოებში უმთავრესი ადგილი მდაბიო ხალხს დააჭირინა. მაგალითებრ, იმის პიესა „Ruy Blas“-ში უმთავრესი გმირი ხელის მოსამსახურეა, ერნანში—ავაზაკი, თუმცა კეთილ-შობილის შთამომავლობისა-კი. ჰიუგოს დრამებში ესა თუ ის გრძნობა, ამა თუ იმ ვნებათა ღელვა არ ისახება, არ ვითარდება თანდათან და არ ძლიერდება, იგი დროს არ ანდომებს ვნებათა ღელვის თანდათანობით ზრდის აღნიშვნას, მისნი გმირნი სცენაზედ გამოსვლისათანავე უკვე სავსებით არიან შეპყრობილნი ამა თუ იმ გრძობითა და ვნებათა ღელვით და დრამატიულს შეხლა-შეტაკებას ჰბადებს ხასიათთა და ვნებათა სხვა-და სხვაობა, ერთმანერთის წინააღმდეგობა.

ერნანში აწერილია სიძულილი და მტრობა სამეფო უფლებასა და დიდკაცობას შორის. მთელი პიესა აკინძულია დონნა სოლ-დე-სილვას სიყვარულზედ, რომლითაც გატაცებულნი არიან ჯერ მეფე და შემდეგ იმპერატორი დონ-კარლოსი, დონ რიუი გომეც დე-სილვა და თვით გმირი პიესისა ერნანი, რომელსაც თანაუგრძნობს დონნა სოლი-დე სილვაც. პიესა დიდის ნიჭითა და ხელოვნებით არის დაწერილი და ყურადღებას მსმენელ მაყურებლისას იტაცებს, თუმცა გმირნი მეტად სიტყვა-წყლიანნი არიან, უფრო მთქმელნი და მოლაპარაკენი, ვიდრე მოქმედნი, და მოლაპარაკენი გაზვიადებულის, მეტად კილო-აწეულის სიტყვა-პასუხით. ეს თვისება ჰიუგოს თითქმის ყველა დრამატიულს ნაწარმოებსა აქვს.

სიამოვნებით მივეგებენით ამ დრამის ქართულს სცენაზედ წარმოდგენას, რადგანაც, სხვაც არა იყოს-რა, ვგონებთ მთელის ქვეყნის ძირზედ არსად მოიპოვება ისეთი სცენა, რომ „ერნანი“ არ წარმოედგინოთ. არცა გვქონია იმედი, რომ ჩვენს არტისტებს შესძლებოდათ ამ დრამის სავსებით დაძლევა, მაგრამ ისიც კარგია, რომ ჩვენმა საზოგადოებამ გაიცნო ეს ნაწარმოები საფრანგეთის დიდებულის მწერლისა. შინაარსის გარდაცემას საჭიროდ არა ვთვლით, რადგან მისი სცენაზედ ნახვაა, საინტერესო და საყურადღებო.

რაც შეეხება ჩვენს არტისტებს, უნდა ვთქვათ, რომ სცდილიყვნენ, რამდენადაც ღონე ამ ცდას შესწევდათ. ამ პიესაში ოთხი უმთავრესი როლია: დონნა სოლასი, დონ გომეცისა, დონ-კორლოსისა და ერნანისა. პირველს როლს ასრულებდა ბ-ნი ეფ. მესხისა, მეორეს—ბ-ნი გამყრელიძე, მესამეს—ბ-ნი კ. მესხი და მეოთხეს—თვით მობენეფისე ბ-ნი სვიმონიძე. სხვების შესახებ არა ითქმის-რა, რადგან ჰერცოგები, გრანდები ჩვენის სოფლის ჩოხისკალთაშემოხეულს აზნაურშვილებსა ჰგავდნენ. სცენა მეოთხე მოქმედებაში, როცა ბოჰემიის მეფე და ბავარიის ჰერცოგი დონ-კორლოსს იმპერატორობას ულოცავენ, ისე ცუდად და საძაგლად იყო მოწყობილი, რომ სრულიად დაეკარგა მნიშვნელობა და საღდესასწაულო ხასიათი.

ზემოდ დასახელებულ არტისტთა შორის ყველას ისევ ბ-ნი კოტე მესხი სჯობდა, მხოლოდ მეოთხე მოქმედების უკანასკნელი სცენები, როდესაც იგი კარლოს დიდის აკლდამის წინაშეა, სუსტად ჩაატარა ამ არტისტმა. ქ-ნი ეფ. მესხისა ამ საღამოს როგორღაც უგუნებოდ ასრულებდა თავისს როლს, ის სიმტკიცე, ის გატაცება სიყვარულის ვნებათა ღელვით, როგორიც შეჰფერის დონნა

## ფელეტონი

### ნაწყვეტი

ძნელია ქვეყნად ცხოვრება,
ძმაც არ გაგიწევს ძმობასა,
თვალ-წინ ერთგულად მოგეპყრის,
მალვით დაგიწყებს მტრობასა,
არც სასიკვდილოდ დაგინდობს,
ჩაიდენს საზიზღრობასა,
ოღონდ-კი შენმა სიკვდილმა
არგოს მის ოჯახობასა!

დ. მაჩხანელი

### ელზას-ლოტარენგია

II *)

(სივრცე.—სიმდიდრე.—ინდუსტრია და სოციალ-დემოკრატია.—მსუქანი ლუკმა).

მთლად ელზას-ლოტარენგიას, როგორიც ჩაჰბარდა იგი გერმანიას, უჭირავს 14.508 ოთხ-კუთხი კილომეტრი, რომელზედაც სცხოვრობს 1.603.506 სული, (ელზასი უფრო მჭიდროთ არის დასახლებული, ვიდრე ლორენი). ამათგან 82% ლაპარაკობს გერმანულად, 10% ფრანგულად და 8% ორსავე ენაზედ. სარწმუნოების მხრივ ამ გვარად განიყოფებიან: 76% კათოლიკეა, 22% პროტესტანტი და 2% ებრაელი.

ელზას ლოტარენგია საზოგადოდ ხვნა-თესვის ქვეყანაა. მიწის მოსავალს შორის უმთავრესი ალაგი უჭირავს კართოფილს, მერე ხორბლეულობას; პურისა და ქერის თესვას უფრო მისდევენ; ქერსა ჰხმარობენ ლუდის სახდელად. 1892 წ. კართოფილის მოსავალი იყო 709700 ტონი. (ტონი 1000 კილოგრამია); პურისა 207600 ტონი. როგორც საინდუსტრიო მცენარე, მოჰყავთ თამბაქო, რომლის ნათესებიც დღითი-დღე ჰმატულობს, ჭარხალი, ციკორი და სვია.

ბაღ-ვენახებსაც საკმაოდ დიდი ადგილი უჭირავს აქაურ მეურნეობაში. გერმანიის არც ერთს კუთხეში არ არის იმდენი ვაზი, რამდენიც აქ. 1892 წელს ვაზს ეჭირა 30,625 ჰექტარი და მისი მოსავალი 790,133 ჰექტოლიტრს აღემატებოდა. ზოგიერთი აქაური ღვინო დიდს პატივშია საფრანგეთში. საზოგადოდ ელზასში თეთრს ღვინოს ამზადებენ, ლორენში-კი—წითელს. ვენახები ფერდობზედ, მზის პირას არის გაშენებული. ახალგვარი დამუშავება და გეგმით ჩაყრა ვაზებისა ეხლა იდგამს ფეხს. ვაზები უსწორ-მასწოროდ არის ჩახერგილი და თუ არ ხელით აქ საქონლის ხმარება შეუძლებელია. რაც შეეხება სხვა ხილს, აქ თითქმის ყოველგვარი ხილი მოიპოვება, რის მოყვანასაც-კი ბუნება ნებას იძლევა.

მთიანი ადგილები, ხრიოკები, რომლებიც თავისს ადგილ-მდგომარეობით, სამეურნეო იარაღის ხმარების ნებას არ იძლევა და ან მეტად მწირ ზეადაგიანია, დათმობილი აქვს ტყეს, რომელიც იმ საზოგადო სარგებლობის გარდა, რაც ტყეს მოაქვს ამა თუ იმ მხარისათვის, მიწასაც სდებს ფასს, ანაყოფიერებს და მომავალში ხვნა-თესვისათვის გამოსადეგად ჰხდის, სადაც-კი ეს შესაძლებელია. 1890 წ. ტყეს 135.823 ჰექტარი სჭერია, რომლის ერთი ნაწილი სახელმწიფოსია, მეორე—სასოფლო და კერძო საზოგადოებათა.

აქაურ მეურნეობის წინ-მსვლელობას ხელს უწყობს როგორც საზოგადო ეკონომიური განვითარება მთელის მხარისა, აგრეთვე კერძოდ იმ გვარი დაწესებულებანი, რომლებიც მარტო მისდა საკეთილდღეოდ არის დაარსებული. აქვთ ერთი სამეურნეო სადგური (გამოსაცდელ მინდვრებით და სამეურნეო სასწავლებლითურთ), ამას გარდა, ერთი საბაღოსნო, 9 სამეურნეო ზამთრისა, ე. ი. სწავლა მხოლოდ ზამთრობით არის, ერთი სამჭედლო და ერთიც სატეხნიკო ზამთრის სასწავლებლები და მრავალი სამეურნეო ბანკი.

ბუნების სიმდიდრის აღმნიშვნელია რკინისა, ქვის-ნახშირისა და მარილის მადნები. 1890 წ. რაოდენობა ამოღებულის რკინისა იყო 3.576.427 ტონი, რომლის შესამუშავებლად 24 სადნობი ქარხანაა გამართული. 1892 რაოდენობა ამოღებულის ქვის ნახშირისა იყო 792.510 ტონი, ქვის-მარილისა—50,069 ტ., გამოუხდელის ნავთისა 12.942 ტ.

ინდუსტრიის მხრივაც არ არის ჩამორჩენილი უკან ეს ქვეყანა. თუმცა ამ შემთხვევაში ციფირები არ მომყავს მოწმად, მაგრამ, ვგონებ, საკმარისია მხოლოდ მოვიხსენიოთ ის გარემოება, რომ სტრასბურგი, მიულჰაუზენი და მეცი უმთავრესი ადგილებია ყოველგვარ ფაბრიკა-ქარხნებისა, რასაც გვიმტკიცებს ამ ქალაქების საზოგადოდ მჭიდროდ დასახლება და განსაკუთრებით მუშა ხალხით. ეს გარემოება ხომ ტერმომეტრია იმის გამოსარკვევად, თუ რამდენად არის განვითარებული ეს მხარე საერო ეკონომიისა, რადგან მუშა ხალხის დაბადება ამა თუ იმ ქვეყანაში, სხვათა შორის, ჰნიშნავს იმის ფაბრიკა-ქარხნების განვითარებასაც. ხოლო იმას, თუ რამდენად მრავალია აქ მუშა-კაცი, გვიმტკიცებს იმათი გამარჯვება ამ უკანასკნელ სადეპუტატო არჩევანებში. მართლაც, ის ზემოდ მოხსენებული ორი დეპუტატი სოციალ-დემოკრატიის დასისა ამ ადგილებიდგან არის გაგზავნილი. ქ. სტრასბურგიდგან—ბ-ნი ბებელი (8193 ხმით), მიულჰაუზენიდგან—ბ ნი ბუები (12,158 ხმით). იმედი აქვთ, რომ მომავალ არჩევანებში მეცშიაც გაიმარჯვებენ, რადგან უკანასკნელ არჩევანების დროს იმათს კანდიდატს უკვე 3458 ხმა ჰქონდა, მაშინ როდესაც წინა არჩევანში მხოლოდ 717 ხმა. ამისათვის თუმცა ჯერ შორს არის საზოგადო არჩევანები, მაინც ეხლავე თავდარიგს შესდგომიან. როგორც გაზეთები იუწყებიან, ამ დასის მომხრენი მთლად ელზას-ლოტარენგიაში არიან მოდებულნი და მტკიცედ ჰმოქმედებენ.

ამ ფაბრიკა-ქარხნებში მზადდება: მანქანები (სამეურნეო თუ საინდუსტრიო), ჭურჭელი, ქიმიური ნივთიერებანი, შაბიამანი და სხ., სანთელი, ქაღალდი, ქსოვილები, ლუდი, შამპანიის მზგავსი ღვინოები და სხვ.

ამ ზემოდ ჩამოთვლილ ბუნების და შემუშავებულ სიმდიდრის ალებმიცემობას, ვაჭრობას ხელს უწყობს ადგილობრივ მისვლა-მოსვლის, გადატან-გადმოტანის სიადვილე, ეკონომიურად განვითარებულს ქვეყანაში ყოფნა და ამგვარისავე ქვეყნების მეზობლობა. 1893 წ. რკინის გზები 1500 კილომეტრის სივრცეზედ იყო. წვრილმან არხების გარდა, სამი დიდი არხი აქვთ (რეინ-რონისა, რეინ-ილისა და მოზელისა), რომლებიც ამ ქვეყნის სიგანესა და სიგრძეზედ არის გაჭიმული.

ამ მოკლე შენიშვნის შემდეგ საკვირველი აღარ იქნება ის, თუ რად ჩასჭიდა ასე მაგრად თავისი კლანჭები გერმანიამ ამ პაწია კუთხეს, და ძალიან ძნელად, თუ დასთმოს თავისის ნებით, რაც უნდა მდიდარი ახალშენი შეაძლიოს იმის ნაცვლად საფრანგეთმა აფრიკასა ან სხვაგან. ისიც ადვილად მისახვედრია, რად მისჩხავის და მისტირის საფრანგეთი ამ ხელიდგან გასხლეტილს მხარეს და რადა სცდილობს იმის ხელ-მეორედ ხელში ჩაგდებას; ესევეა მიზეზი ელზას-ლოტარენგიის სახელის ხშირად ხსენება ყოველგვარ საპოლიტიკო ლაპარაკისა და მითქმა-მოთქმის დროს.

ნ. ა—ლი

*) იხ. „ივერია“ № 3.

სოლის როლის წარმომადგენელს, სავსებით ვერ გაგვითვალისწინა. ჰერ კოგ-გომეცისა და ერნანის როლის აღმასრულებელნი სუსტნი იყვნენ. საერთოდ არც ტანთ-ჩაცმულობა ვარგოდა არტისტებისა და არც მოწყობილობა სცენისა. სასურველია, რომ ეს პიესა ჩვენმა დრამატიულმა დასმა კიდევ განიმეოროს, ხოლო, რასაკვირველია, ისე-კი, რომ უკეთ მოემზადოს და შესაფერად მოაწყოს იგი.

მობენეფისეს საზოგადოებამ რამდენიმე ძვირფასი საჩუქარი მიართვა. საზოგადოება წარმოადგენს საკმაოდ ბევრი დაესწრო.

მანოელიძე

## წერილი ქიზიყიდგან

30 დეკემბერი

კაცს ნაღველი უსივდება, გული შხამ-გესლით ევსება, მთელი არსება ბრაზ მორეული ზიზღით ეწამლება, როდესაც ჰხედავს, რომ თავისს შვილივით ნაზარდ, ნალოლიავებელ ნაშრომ-ნაღვაწს ხელიდგან აცლიან. ცრემლები უსიტყვოდ არჩობს, ძალ-ღონე კი არ შესწევს გამოესარჩლოს, გადამთიელის საძალღ-ღორეთ არ გახადოს... მაგრამ შორს, შორს ჩემგან შავ ფიქრებო, მოახლებულარს ახალი წელი.

არ ვიცი, ახალი წელი რას მოგვიტანს, მაგრამ წიაღთა შინა აბრამ, ისაკ და იაკობისაკენ მიმავალი მდგომარე წელი რომ ქიზიყელთაგან არა კეთილად მოსახსენებელია, ყველას პირზედ აკერია. ის კი, რაც ამ დეკემბრის დამლევს შევიტყეთ, მტერსაც ნუ გააგონა.

ვისაც ქიზიყი უნახავს, ეცოდინება, რომ აქაურ სოფლების ახლო-მახლო მდებარე მთა-გორიან-ადგილები წვრილის, დაბალის თონის ფიჩხით არის დაფარული. ეს ფიჩხიანი ადგილები სოფლის საზოგადოებათა და ზოგიერთ კერძო კაცთა კუთვნილება იყო აქამდის; ამ ფიჩხით სარგებლობდნენ ისინი აქამდის გაჭირვების დროს, მეტადრე მაშინ, როდესაც სახელმწიფო ტყიდგან შეშა-ფიჩხის გამოტანის ნებას არ აძლევდნენ. ქვრივ ოხერისა და უსაქონლო, ხელ-მოკლე მეკომურისათვის ხომ ეს ფიჩხიანი ადგილები სულის მომბრუნებელი, ზამთარში გამათბობელი, ზეციური მანანა, ღვთიური მადლი იყო. ეხლა კი სამუდამოდ უნდა გამოეთხოვნენ ამ თავიანთ საკუთრებად მიჩნეულს ფიჩხიან ადგილებს ქიზიყელნი. რვა ამა დეკემბრიდგან შირაქის „სალესნიჩოს" უფროსისაგან სიღნაღის მაზრის უფროსს მოწერილობა მოუვიდა, ადგილობრივ მცხოვრებთ აღუკრძალეთ სოფლების ახლო-მახლო მდებარე ფიჩხიან ადგილებში ყოველგვარი ფიჩხის დაჭრა, მასთან საქონლის უფასოდ საძოვარზედ გაშვება სოფლიდგან ყოველ მხარეზე ერთის ვერსის სიშორეზედ შეიძლებაო. სწერს რა ამას, სთხოვს იგი ეს განკარგულება გამოუცხადოს შემდეგ სოფლის საზოგადოებათ: მირზაანისას, არბოშიკისას, ცლუნკაანისას კოტაანისას, ზემო-მაჩხაანისას, ქვემო მაჩხაანისას, ფანიანისას, ბოდბისხევისას, ჯუგაანისას, ტიბაანისას, ოზაანისას, პრასიანისას, ბოდბისას, ქედლასა და მაღაროსას.

ეს განკარგულება რომ ხალხს გამოეცხადა, პირველად არა სჯეროდათ, მაგრამ როდესაც თავიანთის თვალით, დეკემბრის დამლევს, დაინახეს თავიანთს ტყეში მოჭრილს ფიჩხზედ განაჩენს უდგენდნენ, მაშინ-კი ცოტა არ იყოს გონს მოვიდნენ, მაგრამ გონზედ მოსვლით რა გაეწყობოდა.. მხოლოდ ის-ღა დარჩენოდათ მუხლ მოდრეკით შეჰღაღად შეჰხვეწნოდნენ.

— ბატონო, ემუდარებოდა ერთი მოხუცებული, წელში მოხრილი, თოვლივით თეთრ თმა-წვერ-ულვაშიანი ქიზიყელი, ასის წლის კაცი ვიქნები, რაც თავი შემისწავლია, ტყეს ვულიდი, ვდარაჯობდი, თითოეული ხე შვილივითა მყავს გაზრდილი, ჩემი გუთანიც ეგ ტყე არის, ჩემი ცხვარიც და შემნახველ-დამმარხველიც. ეხლა რომ ხელიდგან გამომაცალო, ხო ბოლოკივით ამოვარდა ჩემი ოჯახი, ან „ფოშტის" ფულს რით გავცე პასუხი, ან ჩემი იმოდენა ქულ_ათობა-წვრილშვილი რით გამოვკვებო. იმათ შენახვა ხომ უნდათ, შენი ჭირიმე, განა ჩვენი მოწყალე მფარველი ხელმწიფე ისე მომიძაგებს და გამომიმეტებს, რომ ეს ერთად ერთი ცხოვრების სახსარი ხელიდგან გამომაცალოს ამ საპყარ-დაუძლურებულ მოხუცს?.. მეკი არა მგონია და რავიცი მაშ..,

ბევრს ამისთანა ქიზიყელს დასთუთქა გული ამ განკარგულებამ, მაგრამ ვინ არის შემბრალებელი, გულშემატკივარი. საჭიროა ამ გარემოებას ყურადღება მიექცეს. თუმცა ამ მოკლე წერილში არ შემეძლო ამ საქმის ყოველ მხრივ აწერა, მაინც „ვისაც ასხენ ყურნი სმენად, ისმინონ".

ჩვენსკენაც იყო 11 დეკემბერს თოვლი. ბევრ ადგილას ჯერაც თოვლი გაუდნობელი სძევს, ისე გაიფიტა თოვლი ქარისაგან, რომ წვეთი ცვარი არ გავარდება. მეტის-მეტ ყინვებისაგან მოგზაურობა საფრთხილო, საშიში გახდა, არა მარტო ცხენით, ფეხითაც კი.

ისევე ვარ

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**ს. ბროწლეთი,** (გორის მაზრა), 24 დეკემბერი. 20 დეკემბერს ჩვენს სოფელს ეწვია ცხინვალის მომრიგებელი მოსამართლე მდივნით; მოსამართლეს მინდობილი ჰქონდა პალატისაგან ადგილობრივ შეეტყო და გამოეძიებინა ის დავა, რომელიც აგერ ოცი წლიწადია ატეხილია გლეხ ბერიძისა და კიდეც შახნაზაროვ შუა. ეს საქმე იმდენად საყურადღებოდ მიმაჩნია, უმთავრესად იურისტებისათვის, რომ საჭიროდ დავინახე გამომექვეყნებინა. აი საქმე რაშია: ბ-ნს შახნაზაროვს შეურთავს ალხაზოვის ქალიშვილი, რომლისათვისაც მგონია ბებიას ანდერძით, სხვათა შორის, ერთი ზვარიც დაუტოვებია. ის ზვარი, რომელიც ორმოცის წლის წინად გლეხ ბერიძის წინაპარს სანახევროდ გაუშენებია, როგორც ეს ბევრგან საქართველოში იყო და არის მიღებული და პირობისამებრ მაშინვე გაუყვიათ კიდეც. ოცისა თუ ოცდა-ათის წლის შემდეგ საკმაოდ ის გარემოება გახდა, რომ ზემოხსენებულის ანდერძით მოხუცებულს ის ვენახიც, რომელიც პირობისამებრ გლეხს ერგო, ანდერძში მოუქცევია და სწორედ აი, ამ ანდერძმა მისცა ვითომ და უფლება ბ-ნს შახნაზაროვს დაეწყო ბერიძესთან დავა, რომელმაც პალატამდის მიაღწია და სადღეისო გლეხი ჯვარს აცვა. გლეხს ერთად-ერთი საბუთი ისა აქვს, რომ თითქმის ორმოცი წლიწადი უდავიდარაბოთ ჰფლობდა ამ ვენახს, რასაც ორის სოფლის მოხუცებული კაცები ამოწმებენ კიდეც. ეს იყო მიზეზი, რომ პალატამდის ყველა სასამართლო შახნაზაროვს უარს ეუბნებოდა და ანდერძს არაფერს მნიშვნელობას არ აძლევდნენ. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამავე თვალით შეჰხედავს პალატა და გლეხს არ გამოსწირავს იმ ვენახს, რომლითაც ორმოცი-სამოცი წლიწადი უსარგებლნია. მოხუცებულმა გლეხებმა განუცხადეს მოსამართლეს, რომ რაც თავი შეგვისწავლია, ამ ვენახით სარგებლობდა და სარგებლობს გლ. ბერიძეო.

ი. გ—რი

—

**სოფ. საგარეჯო.** საგარეჯოს წიგნთ-საცავს ჰყავს სამი გამგეობის წევრი, ერთი მოადგილე და მეწიგნთსაცავე. ესენი საგარეჯოში სცხოვრობენ, სადაც თვით წიგნთ-საცავი იმყოფება. როგორც სჩანს, სანატრელს მდგომარეობაში უნდა იყოს, მაგრამ, საუბედუროდ, ეს ასე არ არის. წიგნთ-საცავის საქმის წარმოება ჩაბარებული აქვს გამგეობის წევრს სავაბელაშვილს და იმასვე ეხმარება კნიაჟნა ე. მაჟაშვილი.

ხშირად გაისმის სამდურავი, რომ წიგნები გვინდა და წიგნთ-საცავი-კი დაკეტილიაო. დიახ, ეს ასე გახლავთ, უკეთუ ჰსურს ვისმეს წიგნი გაიტანოს, სახლში უნდა მივიდეს მეწიგნთსაცავესა ან იმის დამხმარებელთან და თავისი სურვილი განუცხადოს, თორემ იგი ვერას დროს ვერ ეღირსება წიგნის გატანას.

რამ აიძულათ ეკისრათ ასეთი მძიმე ტვირთი, თუ-კი ვერ გაუძღვებოდნენ ამ საქმეს თავისს რიგზედ?

ასეთმა საქციელმა წიგნთ-საცავის გამგეობისამ შეამცირა მკითხველთა რიცხვი და ამასთან გატანილ წიგნების რაოდენობამაც იკლო. მშვენივრად იყო დაყენებული საქმე წიგნთ-საცავისა, როდესაც ყოველ თვის დამლევს თვიური ანგარიში წიგნთ-საცავის წარმოებისა, ე. ი. მკითხველთა და გატანილ წიგნების რიცხვისა მზადდებოდა და იწერებოდა, ეხლა-კი სულ სხვა არის, დავთარში ვერა ჰნახავთ ვერც ერთ თვიურ ანგარიშს, რომ ყველა წევრს შეეძლოს თვიურის ანგარიშების შედარებით გაითვალისწინოს წიგნთ-საცავის წარმოების საქმე. არ ვიცით, როდის მოეღება ბოლო ამ უწესობას და როდის ჩადგება წიგნთ-საცავის წარმოების საქმე ძველს კალაპოტში.

მოყვარე

## რუსეთი

—

მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის ა. ს. ერმოლოვის თავმჯდომარეობით დაარსებული კომისია ამ დღეებში დაიწყებს თურმე კრებების მართვას დედათა უმაღლესს სასოფლო-სამეურნეო განათლების გავრცელების შესახებ მოსალაპარაკებლად.

— განზრახვა აქვთ იანვრის გასულს რუსეთის საწყლე ოლქების მოღვაწეთა კრება გამართონ ქ. პეტერბურგში. იანვარშივე ექმნებათ კრება ურალის მთა-მადნის მწარმოებელთ და ამურის სამთო ოლქის ოქროს მადნების მწარმოებელთ ქ. ედინბურგში.

— სამხედრო სამინისტრომ ამ დღეებში შეიმუშავა ახალი პროექტი სამინისტროს მოხელეთა დაჯილდოვებისა. ამ პროექტის ძალით, გვარდიაში მოსამსახურეთა დაჯილდოვება 6 დეკემბერსა და აღდგომის დღეს მოხდება, არმიისა წელიწადში ერთხელ და შტაბისა და გამგეობათა მოხელეებისა-კი 6 დეკემბერს.

— განზრახვა აქვთ საგუბერნიო და სამაზრო ათთიაქებთან საქიმიო-საბაქტერეოლოგიო ლაბორატორიები დააარსონ. ამ აზრით ქ. მოსკოვში ბაქტერეოლოგიის კურსები იქმნება თურმე დაარსებული პროვიზორთათვის.

— რუსეთის ბუნების მეტყველთა და მკურნალთა მე-X კრება გამართულ იქმნება ქ. კიევში ამ წლის 21 აგვისტოს. კრება 30 აგვისტომდის გასტანს. კრებაზედ დასასწრებლად მსურველთ განცხადებები უნდა გაჰგზავნონ 2 მაისამდის.

## უცხოეთი

—

**აბაშეთი.** გაზეთებს ამ ბოლოს დროს თითქმის ყოველ დღე მოაქვთ ამბავი, რომ აბაშეთის იმპერატორი მენელიკი ჯარს ამზადებს და საომრად ემზადებაო. გაზ. „Koppel" სწერს, მაგალითად, რომ მენელიკს აზრადა აქვს ომი გამოუცხადოს იტალიას, თუ ეს უკანასკნელი თავის აფრიკის პროვინციას კასსალას ინგლისელებს დაუთმობსო. ნეგუსი თხოულობს, რომ ეს პროვინცია მე უფრო მეკუთვნის, ვიდრე ინგლისელებს, ამიტომ მე დამითმეთო. აფრიკაში მოგზაურს ფრანციის, რომელსაც დიდ ხანს უცხოვრია აბაშეთის სასახლეში და რომელმაც კარგად იცის ამ ქვეყნის ამბები, უთქვამს გაზ. „Stampa"-ის თანამშრომლისათვის, რომ აბაშეთის მეფე და მთლად ხალხი ამ ჟამად დიდს მზადებაში არიანო. მენელიკი გულ-მოდგინედ შეუდგა ჯარის შეიარაღებას; ყველა ჯარის-კაცებს ახალი თოფები დაურიგდა. მრავალი მუშა რკინის გზების და ტელეგრაფების გაყვანას უნდება. მენელიკს აზრადა აქვს თავისი სამფლობელო გააფართოვოს, მასსოვა დაიჭიროს და საზღვრად ზღვა გაიხადოსო.

—

**საფრანგეთი.** დრეიფუსის საქმემ ფეხზედ დააყენა მთელი საფრანგეთი. დეპეშებიდგან უკვე გაიგებდა მკითხველი, რა სიხარულით მიეგება მთელი საფრანგეთი ესტერგაზის გამართლებას და რა დემონსტრაცია მოახდინა ურიებისა და იმათ, განსაკუთრებით ზოლას, წინააღმდეგ, რომელთაც დრეიფუსის მხარი ეჭირათ. ამის მიუხედავად ზოლა მაინც არ სცხრება და გაიძახის, რომ დრეიფუსი მართალიაო. გაზ. „Aurore"-ში დაბეჭდილია ერთი წერილი, რომელიც ზოლამ რესპუბლიკის პრეზიდენტს ფელიქს ფორს გაუგზავნა. წერილს სათაურად „ბრალსა ვდებ" აწერია. წერილში ზოლა აღნიშნავს სხვა-და-სხვა შეცდომას, რომელიც ვითომ გამოძიებისა და საქმის გარჩევის დროს მომხდარა და დასასრულ სწერს: „მე პატი დიუ-კლამს იმ ბრალსა ვდებ, რომ იმისის წყალობით სასამართლოს შეცდომა მოუვიდა. მე ბრალსა ვსდებ ბილიოს იმ საბუთის ქაღალდების დამალვისას, რომელიც დრეიფუსის სიმართლეს ამტკიცებს, ხოლო ბუადეფრსა და გონსა—იმისას, რომ იმათ ბილიოს მხარი დაუჭირეს; მე იმ ბრალსა ვსდებ პელიესა და რავარის, რომ გამოძიება მიმხრობით და ქომაგობით მოახდინეს, მე ბრალსა ვსდებ სამხედრო სასამართლოს, რომელმაც ნამდვილი დამნაშავე და მოღალატე გაამართლა. დეე, მიმცენ ნაფიც მსაჯულთა სამართალში და გამოძიება დაიწყონ, მე მზადა ვარ ყველაფერზედ პასუხი ვაგო და იმედიცა მაქვს, რომ სიმართლეს აღვადგენო".

—

**ოსმალეთი.** ლონდონიდგან სწერენ გაზ. „Politische Correspondenz"-ს, რომ ევროპის სახელმწიფოთა ელჩები კონსტანტინეპოლში ჯერ კიდევ დიდხანს მოუნდებიან კრიტში თვით-მართველობის შემოღების შესახებ წესდების პროექტის შედგენასაო. აქამდის ჯერ კიდევ ვერ დაასრულეს იმ საგნის განხილვა, თუ რა ღონისძიებანი უნდა იქმნას მიღებული კუნძულის მაჰმადიანთა უზრუნველ-საყოფელადაო.

## ნაკვესი

—

ერთს „აზიურს" სასტუმროში შევიდა ქართველი და წვნიანი მოითხოვა. მოუტანეს რაღაცა დურდო. დაუძახა მოსამსახურეს და სთხოვა:

— ეს თუ ბოზბაშია, ჩიხირთმა მომიტანე, და თუ ჩიხირთმაა ბოზბაში მირჩევნიაო.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

8 იანვარი

**პარიჟი.** რამდენიმე მცირე მანიფესტაცია მოხდა მარსელში. ასეთივე მანიფესტაციები მოხდა ტულუზასა, ნანტსა და რუანში.

**ალჟირი.** უმაღლესის სასწავლებლის სტუდენტებმა საღამოთი მოახდინეს კრება, რომელიც ჩხუბით გათავდა. სტუდენტებს უნდოდათ დაეწვათ ზოლას სურათი, პოლიციამ ხელი შეუშალა და ასტყდა ჩხუბი. რამდენიმე კაცი სუბუქად არის დაჭრილი. ხუთი კაცი დააპატიმრეს. სტუდენტებს უნდოდათ გაენთავისუფლებინათ თვისი ამხანაგები და კვლავ ჩხუბი ასტყდა.

**პარიჟი.** საღამოთი ქალაქში მშვიდობიანობა სუფევდა.

**ტულუზა.** საღამოთი სტუდენტებმა მანიფესტაცია მოახდინეს.

**ლილი.** აქაც მოხდა მცირე მანიფესტაცია.

9 იანვარი

**პარიჟი.** ზოლა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში იქმნება მიცემული.

**კანნი.** გლადსტონი ძალიან სუსტად არის; მახლობელნი ჰშიშობენ, რომ გლადსტონი უფრო ცუდად არ გახდეს.

**რომი.** მაჩერატსა და სენიგალიაში მცხოვრებელთ ქალაქის საბჭოს წინ მანიფესტაცია მოახდინეს. მანიფესტანტები პურის ფასის დაკლებას თხოულობდნენ.

**ლონდონი.** ჩემბერლენმა ლივერპულში კრიტის შესახებ ილაპარაკა

და სთქვა, რომ კრიტის აწინდელი მდგომარეობა აუტანელიაო.

**კონსტანტინეპოლი.** ხმა დადის რომ გენერალ ცეხმეისტერი ლეკკი დიდ ვეზირად იქმნება დანიშნულიო, შეი-აბდულლოხუდე-შეიხ-ულ-ისლამად, სამხედრო კაბინეტის უფროსი შაკირი—სამხედრო მინისტრად, გედჯასის გენერალ-გუბერნატორი ბატიბი—ზღვათა მინისტრად.

**ბომბეი.** წარსულ კვირას შავის ჭირით 650 კაცი გარდაიცვალა; ხალხი თან და თან უფრო იხიზნება ქალაქიდგან; ვაჭრობა შესწყდა.

## წერილი რაჭიდგან

(რედაქციის მიმართ)

„წელიწადმა აბა რა ჰქნას,
რომ ცბიერობს ეს ქვეყანა
და სუყველა მწერალია,
ვინც კი იცის ანა-ბანა?“.

მომყავს ეს ამონაგლეჯი ლექსი პატივცემულ პოეტის „საახალწლო ანდაზებიდგან“ და აღვიარებ, რომ ბევრისათვის მართლადაც საგულისხმოა იგი... ჩემდა თავად-კი დაგარწმუნებთ, რომ არც ცბიერობით და არც იმ განზრახვით, რომ მწერლობაში თავი გამოვყო, არ ამიღია კალამი. მხოლოდ არ ძალ-მიძს არ გარდმოგცეთ ისთუ როგორ იმოქმედა ჩემზედ ამ დღეებში ერთმა ჩემმა კარგმა ნაცნობმა სოფლელმა მეზობელმა ხინჩლამ, მაგრამ არც მთლად ხინჩლამა: ანაბანა ნასწავლი აქვს და ძალიან მუყაითად კითხულობს სოფლად მის მიერ დაკვეთილ გაზეთებს... სწორეთ უნდა მოგახსენოთ გასაოცარი სანახავი იყო იმ დღეს ეს ჩემი საყვარელი ხინჩლა. პირ-წავარდნილი დათვი იყო, მძიმედ დაჭრილი და ბეჩოში ხალახინებით გამომწყვდეული. ვერ წარმოიდგენთ, რა ნაირად ბუჯღნიდა და ისროდა აქეთ-იქით ახლად მოსულს გაზეთებს. რომ შევედი და დამინახა, ერთი უცნაურად შემომიღრიალა, მოკუშნული გაზეთები მომაყარა და მითხრა:

— აბა, წაიკითხე, რაებსა სწერენო...

დამშვიდება დავუწყე და, რომ დაწყნარდა, შეუდექით გაზეთების გადაკითხვას და ერთმანერთთან აზრების გაზიარებას. იმისათვის ყველაზედ უფრო საწყენი დარჩა ერთის ჩვენის გარეშე, მტკიცე მოკეთის საწინააღმდეგო წერილები.

— აბა, უყურე, კაცო, რაებსა სჯღაბნიან ეს ლალები, ზურაბები—ზურმუხტები... საკვირველებაა, რომ არაფერი კაცური კაცობა, გულ-წრფელობაა იგი, თუ გულის სიწმინდე, თუ სხვა რამე მაგათ არავისში არა სწამთ და თავიანთი თავი კი ლამის წმიდათა და წამებულთა შორის ჩაირიცხონ. რა უბედურებაა, განაგრძო ხინჩლამ, რომ ჩვენში ზოგიერთი ამათი მზგავსი მოკალმენი, მოაზრენი, უგულონი და უსულონი იბადებიან?

— მაგისი რა მოგახსენო და ეს-კი აშკარაა, რომ მტერსა და მოყვარეს ვეღარა სცნობენ ეს ნაცარ-ქექიები ღ არ ვიცი რა მიზეზია. ოჰ, ნეტავი ერთი კალამს მიჰრიდეს, რომ გაზეთში მაგათ ტუტა ავადინო და ან აქ სოფლად მაინც მანახა, რომ შევეკამათო.

— ერთი შენც, მოგცლია-მეთქი, დავუწყე მე: ეგენი ხომ მბაძავები არიან, თავიანთი გამჭრიახობა „იოხ“, და მეორე, ჩვენ ასე გვჭირს კაი ხანია, „ეს ჭირი არ ახალია—ძველია“, მაგ კოლოებს თავი დაანებე, ჩვენდა სამწუხაროდ, ჩვენს ბოზოლა მწერლებშიაც ურევია იმისთანა, რომ არამც თუ გარეშე მოკეთეს, შინაურს ნამდვილს მოძმეს, სასიქადულო მამულისშვილს არა ჰგუობს და აბა რა ვუყოთ...

ხინჩლა თითქოს დამშვიდდა ცოტათი და ბოლოს ისევ მომიბრუნდა:

— კაცო, რა მშვენიერი ლექსის კილო აქვს ამ შეჩვენებულს აკაკის!..

— ოღონდაც, რომ ჩინებულია, ხალხურია, ანკარა წყაროსავით არის, სულ ადვილად გასაგებია ყველასათვის, ბრმაც-კი წაიკითხავს, ისეთი სინათლე გასდგამს... თუნდ აი ამ „საახალწლო ანდაზებში“ რა მდაბიო სიტყვებია ნახმარი: „პატარძალი“, „კვიცი“ „მგელი“. ამ დალოცვილს ბარემც მელაც ჩაეწეროს, მაგრამ... მაგარი ის არის, რომ ის სიტყვები ლექსის გასაცხოველებლად, გასამახვილებლად დასჭირდა და ამიტომ აღარც მტერი ეძია და აღარც მოყვარე... მე და შენ რომ ამისათვის აქ, ჩემო ხინჩლა, თავი თავს ვახალოთ სასიკვდილოდ, იმას ფეხებზედაც არა ჰკიდია...

ეს სიტყვა გათავებული არ მქონდა, რომ უცხო კაცი შემოგვერია და მე და ხინჩლამ ხმა გავკმინდეთ, არ გვინდოდა ჩვენი ნაკლულევანება და სირცხვილი სხვასთან გაგვემხილებინა...

დიმიტრი ყიფიანი

## წერილი რედაქციის მიმართ

უმორჩილესად გთხოვთ ამ წერილს მისცეთ ადგილი თქვენს პატივცემულ გაზეთში და მით მოგვცეთ საშუალება გამოვუცხადოთ უგულითადესი მადლობა „ივერიის“ და „მოამბის“ რედაქციებს თავიანთ გამოცემათა დაკლებულ ფასად გზავნისთვის და „კვალის“, „ჯეჯილის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციებს ამ ჟურნალ გაზეთების უფასოდ დათმობისათვის. აგრედვე უგულითადესს მადლობას ვუძღვნით იმათა, რომელთაც ამ 1897 წლის განმავლობაში აღმოუჩინეს აქაურ ქართველ სტუდენტთა წიგნთ-საცავს თავისი დახმარება ფულით თუ წიგნებით: გ. ე. სანიკიძეს, რომელმაც შემოსწირა 4 მან., ბარონ ვრევსკის—ორი წიგნი, ღირებული 6 მან., სახაროვს—3 წიგნი, ღირებული 7 მ. 50 კ., ივანდიდელს—წიგნი: „ჩვენს ქალებს“, ს. ამირაჯიბს—3 წიგნი, ღირებული 15 მ. 50 კ. და ხ. ღ—ტს 2 მ. და წიგნები, ღირებული 19 მ.

ამხანაგთა მინდობილობით
სტუდენტი ხარლამპი ღლონტი

ვთხოვთ „კვალის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციებს ეს ჩვენი წერილი გადაბეჭდონ თავიანთს გაზეთში.

ოდესსა.


# განცხადებანი

ამით ვაცხადებ, რომ ნარიმან გლახუას ძის გამყრელიძესთვის **ჩამომირთმევია** რწმუნების ქაღალდი ვექილობისა და საქმეთა წარმოებისა, რომელიც აქამდე მქონდა მინდობილი.

(3—3—2) ვასილ ბარათაშვილი

Открыта подписка на 1898 г.
на еженедѣльный иллюстрированный журналъ
**ВОКРУГЪ СВѢТА**
14-й годъ изданія
**50** иллюстрированныхъ №№ въ годъ.
Романы, повѣсти, путешествія, научныя статьи и пр.
КРОМѢ ТОГО БЕЗПЛАТНО
СОБРАНІЕ СОЧИНЕНІЙ
**ЖЮЛЯ ВЕРНА**
**12** ТОМОВЪ!
ЛУЧШИХЪ РОМАНОВЪ:
Путешествіе капитана Гаттераса.—Путешествіе на луну.—Вокругъ луны.—Пять недѣль на воздушномъ шарѣ.—Ледяной сфинксъ.—Страна пушныхъ звѣрей.—Черная Индія.—Южная звѣзда.—Архипелагъ въ огнѣ.—Паровой домъ.
**2** РОСКОШНЫЯ ПРЕМІИ:
1) Проф. Ю. Клевера „Зимній вечеръ“.
2) Акад. К. В. Лебедева „Отдыхъ на соколиной охотѣ“. Олеограф. въ 28 кр.
ПОДПИСНАЯ ЦѢНА
НА ГОДЪ: безъ картинъ 4 р.; съ двумя картинами 5 р.
съ доставкою и пересылкою.
Подписчикамъ—собраніе романовъ Жюля Верна, 12 книгъ, выданныя въ 1897 году, высылается за 2 рубля съ пересылкою.
Адресъ редакціи: Москва, Валовая ул., д. Т-ва И. Д. Сытина.

(5—მ.—5)

„წერა-კითხვის საზოგადოების“
**წიგნის მაღაზიაში**

ისყიდება შემდეგი წიგნები:
საქართველოს ისტორიისა და მწერლობის შესახებ.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ქართლის ცხოვრება I წიგნი გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა | „ | 40 |
| ლექსები ანტონ ფურცელაძისა ფასი | „ | 40 |
| ვეფხვის ტყაოსანი სურათებიანი მშვენიერის ყდით | 10 | „ |
| ქ. ნიკოლაძის ნაწერები | „ | 30 |
| კეთილი ძაღლი | „ | 20 |
| თხზულ. მამია გურიელისა | 1 | „ |
| კრონიკები თ. ჟორდანიასი | 3 | „ |
| ისტორიული ნარკვევი, ალ. ჭყონიასი | 1 | 50 |
| ნ. ნიკოლაძე. ბიოგრაფია | „ | 20 |
| აკაკი წერეთელი. ბიოგრაფია | „ | 15 |
| ამირან-დარეჯანიანი | 1 | „ |
| ჩვენი ახალი მწერლობა სალარაძისა | „ | 40 |
| ბუნება და ცხოვრება ი. ალხაზიშვილისა | „ | 60 |
| გედები, საყმაწვილო წიგნი | „ | 20 |
| პარტახი მოთ. ნინოშვილისა | „ | 20 |
| ორი ეტიუდი | „ | 20 |
| როგორა ცხოვრობდენ ადამიანები ძველად | „ | 25 |
| სახალხო ლექსები და ლეგენდები | „ | 20 |
| საქართველოს ისტორია დ. ბაქრაძისა | 1 | „ |
| საქართველოს ისტორია მ. ბროსესი | „ | 70 |
| მეფე გიორგი ბრწყინვალე, ურბნელისა | „ | 20 |
| ძეგლის დება (მეფე გიორგის სამართალი), მისივე. | „ | 25 |
| ათაბაგნი ბექა და აღბუღა და მათი სამართალი, მისივე | „ | 50 |
| ამარ მეფე დ. კარიჭაშვილისა | „ | 15 |
| სვიმონ მეფე, მისივე | „ | 10 |
| როსტომ მეფე, მისივე | „ | 10 |
| Свѣдѣнія о памятникахъ грузинской письменности проф. А. Цагарели. I выпускъ | 1 | 25 |
| II вып. | 1 | 50 |
| О грамматической литературѣ грузинскаго языка, его-же | „ | 50 |
| Грамоты и другіе документы XVIII ст., его-же | 3 | |
| Очерки по исторіи грузинской словесности А. Хаханова | 2 | „ |
| Грузинскіе дворянскіе акты, его-же | „ | 60 |
| Сигель грузинскаго Царя Баграта IV, Е. Такайшвили | | 60 |
| Матеріалы для русской исторіи, его-же | 3 | |
| Матеріалы для исторіи Кавказа. Буткова 3 т. | 7 | 50 |



# „ივერია“

1898 წელსაც გამოდის ყოველ-დღე, გარდა იმ დღეებისა, რომელიც ზედ მოსდევს კვირა-უქმეებს. ფასი გაზეთისა:

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 12 | თვით | 10 მ. | — კ. | 6 | თვით | 6 მ. | — კ. |
| 11 | „ | 9 „ | 50 | 5 | „ | 5 „ | 50 |
| 10 | „ | 8 „ | 75 | 4 | „ | 4 „ | 75 |
| 9 | „ | 8 „ | — | 3 | „ | 3 „ | 50 |
| 8 | „ | 7 „ | 25 | 2 | „ | 2 „ | 75 |
| 7 | „ | 6 „ | 50 | 1 | „ | 1 „ | 50 |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Редакція „ИВЕРІА“.

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმემ, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანეთი; ხოლო თუ ქალაქის გარეთიდგან სხვა ადგილს გადავიდა სადმე, ქალაქს გარედვე, - ორი აბაზი.

თუ თვის განმავლობაში დაიბარა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, მას გაეგზავნება გაზეთი პირველ იმ თვიდგან, რომელსაც დამბარებელი აღნიშნავს. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

**ფასი განცხადების დასაბეჭდად**

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი—8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი—30 მანეთი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანეთი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერები, წერილები და კორესპონდენციები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს. ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. ხელ-ნაწერს, რომელიც დაბეჭდილი არ იქნება, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონმა არ მოიკითხა, მერე რედაქციას ვეღარ მოსთხოვს, ხოლო წვრილმანს წერილებს რედაქცია არ ინახავს.

არა-გვარს მიწერ მოწერას დაუბეჭდელ ხელ ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირისპირ მოსალაპარაკებლად რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, ათ საათიდგან პირველ საათამდე და საღამოობით 6-დგან $7^1/_2$ საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ნიკოლოზის ქუჩაზე. 21.



გამოვიდა და ისყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში ახალი წიგნი

**„მეაბრეშუმეთა პრველი ამხანაგობა ქუთაისის გუბერნიაში და მისი საქმეები“**

ნ. წერეთლისა. ტფილისი, 1897 წ.

შინაარსი: I. **რამ გამოიწვია დაარსება „მეაბრეშუმეთა პირველი ამხანაგობისა?“**

II **„მეაბრეშუმეთა პირველი ამხანაგობის მოქმედება“.**

III **„მეაბრეშუმეთა პირველი ამხანაგობა და ბ. ი—ბ ქ—ძე“.**

IV **„რა და რა ნაკლს პოულობს ი. ქ—ძე მეაბრეშუმეთა პირველი ამხანაგობის საქმეთა წარმოებაში?“**

ფასი 5 კ.

(6—213—4)

# ვყიდულობთ



ცოცხალს, კავკასიის გარეულ ცხოველებს:

ირმებსა, ჯეირნებს, ვეფხვებს, ჯიხვებს, ხრჩვებს, არნებს, ფოცხვერებს და სხვ.

**საჭიროა აგრედვე დიდრონი ირმის რქები.**

მიხეილის ქუჩა, № 106, ეზოში; სახლი ბარამოვისა. იკითხე **ჰუგო გინკლერი.**

(6—212—4)